


სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ




ნოე ქაშიბაძე

16.04.2013 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს
ფინანსური აუდიტის ანგარიში № 5/129
(01.01.2012 - 01.01.2013) .

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს



შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა დასკვნა.....	3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	5
ფორმა N1 - ბალანსი	7
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	8
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.....	9
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	10
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ.....	11
ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ	12
ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები.....	13
1. ზოგადი ინფორმაცია.....	13
2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	13
3. ინვენტარიზაცია.....	14
4. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება.....	18
5. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხები.....	18



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს (შემდეგში სამინისტრო) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშგებებს ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯებს, არაფინანსური აქტივებით საკასო, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლას და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიანად წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების

მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.


გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2012 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით ორგანიზაციას არასწორად და არასრულად აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N2 და ფორმა N5, კერძოდ:

-არაფინანსური აქტივები

- უსასყიდლოდ მიღებული და სამინისტროს სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების ნაწილი, კერძოდ საოფისე და ადმინისტრაციული შენობები/ფართები სულ - 17,101.00 მ² და მასზე წილობრივად დამაგრებული და სხვა მიწის ნაკვეთები სულ - 22,370.00 მ², თანხობრივად აღრიცხული არ არის სამინისტროს საბუღალტრო რეგისტრებში (ბალანსში), რის შედეგად საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის და 23-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების მოთხოვნათა შეუსაბამოდ, არსებითი ცდომილებით, შემცირებულია რეალურად არსებული არაფინანსური აქტივების ღირებულება (სააღრიცხვო პერიოდის დასაწყისისათვის ბალანსში არაფინანსური აქტივების განსაზღვრული კატეგორიების (შენობა-ნაგებობები და მიწა) ღირებულებაზე არ არის დამატებული სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში ოპერაციების განხორციელების შედეგად ამ კატეგორიებში მიღებული აქტივების მთლიანი ღირებულება); აღნიშნული აქტივების ღირებულება უცნობია, ვინაიდან ქონების გადმოცემის ადმინისტრაციულ აქტებში (წერილები და მიღება-ჩაბარების აქტები) არ იყო მითითებული მათი საბალანსო ღირებულება და არც შესაბამისი წესით მომხდარა მათი დადგენა;
- საბალანსო მუხლში შენობა-ნაგებობები, რომელშიც უნდა აღრიცხულიყო ზემოაღნიშნული ქონება შესაბამისი წესებით მათი ღირებულებების დადგენის შემდგომ, ასახულია მხოლოდ გარკვეული (სამინისტროს ადმინისტრაციის განთავსების) ფართის სარემონტო სამუშაოების ღირებულებები. ამათგან, შენობა-ნაგებობების სამუშაო მდგომარეობაში შენახვისა და მიმდინარე შეკეთების ხარჯები - 671 ლარის ოდენობით, არასწორადაა განხორციელებული წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული „არაფინანსური აქტივები“-ს მუხლიდან და არამართებულადაა მიკუთვნებული (აღრიცხული) სამინისტროს ბალანსის მუხლში - „შენობები და ნაგებობები“; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების



დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-15 პუნქტის და მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-17, მე-18 და მე-20 პუნქტების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 25.08.2010 წლის N672 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის (ოფისის ხარჯები (223) და ძირითადი აქტივები (311)) მოთხოვნებით აღნიშნული ხარჯები უნდა აღრიცხულიყო როგორც „საქონელი და მომსახურება“ (კერძოდ „ოფისის ხარჯების“ კლასიფიკატორში). აღნიშნულით, რომელიც იწვევს „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონთან შეუსაბამობას, ზედმეტად გაზრდილია რეალურად არსებული შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულება. ამასთანავე ამ თანხებით არასწორადაა როგორც გაზრდილი, ასევე შემცირებული საბიუჯეტო კლასიფიკატორის მუხლები შესაბამისად „არაფინანსური აქტივები“ და „საქონელი და მომსახურება“;

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 43-ე მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნათა შეუსაბამოდ სამინისტროს ამორტიზებული ძირითადი აქტივების საცნობარო მუხლში (08) არაა აღრიცხული გამოყენებაში რეალურად არსებული გაცვეთილი (ამორტიზებული) 46 დასახელების 118 ერთეული ძირითადი აქტივი, საწყისი (ისტორიული) ღირებულებების მითითებით, რომელიც რეალურად შეადგენს 34,574.00 ლარს.

პირობითი მოსაზრება


ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2012 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება, გარდა წინა პარაგრაფში აღნიშნული საკითხისა, არაფინანსური აქტივების ღირებულებების დაზუსტების შემთხვევაში, მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრისათვის.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

დასკვნის საფუძველებში წარმოდგენილი საკითხების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

არაფინანსური აქტივების დანაკლისების, ავტომატური და სხვა ქონების აღრიცხვა

ბალანსის საცნობარო მუხლში - პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები (02), აღრიცხულია 1,642,795.92 ლარის აქტივების დანაკლისები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ სამინისტროზე შემდგომი განკარგვის მიზნით გადმოცემულ, რიგი ორგანიზაციების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, მათ ბალანსზე რიცხულ საომარი



მოქმედებების შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიაზე (ზემო აფხაზეთში) დარჩენილ და სხვა დაკარგულ (დატაცებულ) ქონებას;

ზემოაღნიშნული აქტივების დანაკლისის თანხების არსებული აღრიცხვა ვერ უზრუნველყოფს ბიუჯეტის ბალანსის აღრიცხვის უტყუარობას, ვინაიდან ამ მუხლში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, უნდა აღირიცხოს ორგანიზაციის მიერ დროებით, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობანი.

სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება ვერ ასახავს ასევე რეალურ სიტუაციას სამინისტროს კუთვნილი ავტომანქანების რაოდენობისა და ღირებულებებთან მიმართებით, ვინაიდან სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსში (ფორმა N1 და ფორმა N6) ერთობლივად არის აღრიცხული, როგორც სამინისტროს აპარატის კუთვნილი - ექსპლუატაციაში მყოფი 3 ერთეული ავტომანქანა, ასევე მხარჯავი დაწესებულებებიდან გადმოცემული - საპრივატიზაციო რეჟიმში მყოფი 7 ერთეული სატრანსპორტო საშუალება.

სამინისტროს დებულების მე-9 მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა თანახმად, სამინისტროში საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების უზრუნველყოფა ევალება სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს - საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტს, რომლის ამოცანაა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსის შედგენა, ხოლო ამავე დებულების მე-11 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა თანახმად, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის დეპარტამენტის ძირითად ამოცანებში შედის: საქართველოსა და აფხაზეთის შესაბამის ორგანოებთან ერთად აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო უძრავი ქონების ნუსხის სისტემატურად განახლება; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების (უძრავ-მოძრავი), მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წილებისა და აქციების აღრიცხვა და მართვა; კონფლიქტის შემდგომ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებული უძრავი ქონების მდგომარეობის შესახებ (პრივატიზება, იჯარა და ა.შ.) ინფორმაციის მოპოვება შესაძლებლობის ფარგლებში; აფხაზეთის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების სარგებლობაში და მფლობელობაში არსებული ქონების აღნუსხვა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს დებულების მე-2 მუხლის „ი“, „ნ“, „უ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და პრივატიზების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის მომზადება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დასამტკიცებლად წარდგენა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების აღრიცხვა და ნუსხის შედგენა; კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული აქტებისა და ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და მათი სათანადო დაწესებულებებისათვის წარდგენა.

სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება


ავტოსარანსპორტო საშუალების („მერსედეს-ბენცი C-200“, ძრავის მოცულობა 2.0, გამოშვებული 2000 წელს) შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, განხორციელებულია არარაციონალურად, ვინაიდან 15,000.00 ლარად შეძენილია ავტომანქანა, რომელიც მისი ექსპლუატაციაში ყოფნის (თორმეტი წელი) ვადიდან გამომდინარე, ამორტიზებული იყო.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

მინისტრის ბმანებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე 2012 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 16 მომუშავე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად; ფაქტობრივად კი წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ 4 პირი აყვანილია თითქმის მთელი წლის (11 და მეტი თვე) პერიოდში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. კერძოდ, მათზე დაკისრებული იყო მინისტრის ცალკეული დავალებებისა და განკარგულებების შესრულება, ასევე შტატით გათვალისწინებული თანამშრომლებისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხელშეწყობა. მათზე თვეში ანაზღაურებულია 380-450 ლარი, სულ 20,670.0 ლარი; ხოლო 5 პირი შედარებით ნაკლები ვადებით იყვნენ დანიშნული შტატგარეშე მოსამსახურეებად და დაკისრებული ჰქონდათ სამინისტროს დებულებით განსაზღვრული ისეთი მოვალეობები, როგორიცაა სამინისტროს მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირისათვის დაკისრებული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობა (2 პირი, 3-3 თვე, 400-400 ლარი), საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხები (2 პირი, 3-3 თვე, 400-730 ლარი), შტატით გათვალისწინებული თანამშრომლებისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხელშეწყობა (ერთი პირი, 6 თვე, 450 ლარი) და სხვა.

რისკები

სამინისტროს, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-13 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, არ შეუმუშავებია ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარი სისტემა; კერძოდ, არ განუხორციელებია რისკების განსაზღვრა და შეფასებები; არ განუსაზღვრავს ყველა რისკის მნიშვნელობა, ალბათობა და საპასუხო კონკრეტული კონტროლის მექანიზმების დოკუმენტურად ასახვა.



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო

ფორმა N1 - ბალანსი

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს


დასახელება	განმარტება	31/12/2011	31/12/2012
აქტივები		0	0
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები			
II. არაფინანსური აქტივები	3	30,732	48,119
შენობა-ნაგებობები		52,253	98,832
მანქანა დანადგარები და ინვენტარი		0	0
სხვა ძირითადი აქტივები		82,986	146,951
ბალანსი			
ვალდებულებები და კაპიტალი			
I. ვალდებულებები			
II. კაპიტალი		82,986	146,951
წმინდა ღირებულება		82,986	146,951
ბალანსი			
III. საცნობარო მუხლები:			
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური	3	1,642,275	1,642,275
ფასეულობები (02)			
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში(04)		7,768	2,938
ამორტიზებული ძირითადი აქტივები (08)	3	0	0
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი		5,251	42,824
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (10)			

მინისტრი

ნანა შეროზია

საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ზვიადი ინასარიძე



აგზაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	ფინანსური	დახარჯების	დახარჯების	დახარჯების	დახარჯების	დახარჯების	დახარჯების	დახარჯების	დახარჯების
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1. ხარჯები	557,710	591,870	585,732	585,732	585,732	585,732	585,732	585,732	585,732
1.1 შრომის ანაზღაურება	465,720	478,446	478,401	478,401	478,401	478,401	478,401	478,401	478,401
1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	425,280	417,036	416,991	416,991	416,991	416,991	416,991	416,991	416,991
1.1.1.3 პრემია	40,440	61,410	61,410	61,410	61,410	61,410	61,410	61,410	61,410
1.2 საქონელი და მომსახურება	91,990	107,180	101,088	101,088	101,088	101,088	101,088	101,088	101,088
1.2.1 მატერიალური მომსახურება	32,980	39,420	39,365	39,365	39,365	39,365	39,365	39,365	39,365
1.2.2 მშენებლობის ხარჯები	2,000	2,500	2,105	2,105	2,105	2,105	2,105	2,105	2,105
1.2.3 მომსახურების ხარჯები	29,710	27,570	24,546	24,546	24,546	24,546	24,546	24,546	24,546
1.2.4 ტრანსპორტი და ტექნიკა	26,300	34,400	33,039	33,039	33,039	33,039	33,039	33,039	33,039
1.2.5 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	1,000	3,290	2,033	2,033	2,033	2,033	2,033	2,033	2,033
1.3 პირთადაც კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	-	-	-	-
1.4 პროცენტი	-	-	-	-	-	-	-	-	-
1.5 სუბსიდიები	-	-	-	-	-	-	-	-	-
1.6 გრანტები	-	-	-	-	-	-	-	-	-
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	0	6,244	6,244	6,244	6,244	6,244	6,244	6,244	6,244
1.8 სხვა ხარჯები	0	6,244	6,244	6,244	6,244	6,244	6,244	6,244	6,244



მინისტრი
საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ნანა შეროზია
ზვიადი ინასარიძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	განმარტება	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1. არაფინანსური აქტივები		17,000	34,286	33,266	33,266	33,266
1.1 ძირითადი აქტივები		17,000	34,286	33,266	33,266	33,266
1.1.1 შენობა-ნაგებობები		0	18,286	18,266	18,266	18,266
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		17,000	16,000	15,000	15,000	15,000
სატრანსპორტო საშუალებები	5	15,000	15,000	15,000	15,000	15,000
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		2,000	1,000	-	-	-
1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები		-	-	-	-	-
არამატერიალური ძირითადი აქტივები		-	-	-	-	-
1.2 მატერიალური მარაგები		-	-	-	-	-
1.3 ფასეულობები		-	-	-	-	-
1.4 არაწარმოებული აქტივები		-	-	-	-	-

მინისტრი
საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ნანა შეროზია
ზვიადი ინასარიძე



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

წმინდა ღირებულება 31/12/2011		82,986
დებეტი		
მომუშავეთა ანაზღაურება	(478,401)	
საქონელი და მომსახურება	(101,088)	
პირთადი კაპიტალის მოხმარება	(27,464)	
მ.შ.ფიზიკური ცვეთა	(24,114)	
სოციალური უზრუნველყოფა	(6,244)	
აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	(27,277)	
არაფინანსური აქტივები	(27,277)	
სულ სადებიტო ბრუნვა	(640,473)	
კრედიტი		
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	618,998	
აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	85,440	
არაფინანსური აქტივები	85,440	
სულ საკრედიტო ბრუნვა	704,439	
წმინდა ღირებულების ცვლილება	63,966	
წმინდა ღირებულება 31/12/2012	186,952	

მინისტრი
საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ნანა შეროზია
ზვიადი ინსარიძე





აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	დამატებითი აღწერა	მიღება		გასვლა		ყადაგი დასაწყისში
		დამატებითი აღწერა	დამატებითი აღწერა	დამატებითი აღწერა	დამატებითი აღწერა	
ძირითადი აქტივები	82,986	33,266	85,440	27,277	27,464	146,951
შენიშვნა-ნაგებობები	30,732	18,266	0	0	879	48,119
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	52,254	15,000	85,440	27,277	26,585	98,832
სატრანსპორტო საშუალებები	18,600	15,000	67,374	13,094	13,993	73,888
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	33,653	0	18,066	14,183	12,592	24,944

მიმღები

ნაწილი

საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ზვიადი ინსარიძე



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო
ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

მაჩვენებელთა დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში მიღება (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში გასვლა (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
	სფუტანაფუტადე ფუნდ	ფფფფფფფფფფფფფ	ფფფფ	ფფფფფფფფფფფფფ	ფფფფფფფფფფფფფ	ფფფფფფფფფფფფფ	ფფფფფფ	ფფფფფფ	ფფფფფფ	ფფფფფფ	ფფფფფფ	ფფფფფფ	ფფფფფფ	ფფფფფფ
1	სატრანსპორტო საშუალება	3	-	1	8	2	-	32,302	1,137	26,642	32,302	1,137	26,642	4,522
1.1	მ.შ. მსუბუქი მანქანები	3	-	1	8	2	-	32,302	1,137	26,642	32,302	1,137	26,642	4,522
1.2	ჯიშები და პიკაპები													
1.3	სატვირთო													
2	მანქანა-დანადგარები და საოფისე ტექნიკა სულ	162	12	1	41	2	-	60	60	-	60	60	-	-
2.1	მობილური ტელეფონები	3			1	1								
2.2	ტელევიზორები	6	2		2	3								
2.3	კომპიუტერები	43	10		13	9		60	60	-	60	60	-	-

მინისტრი
საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ნანა შეროზია
ზვიადი ინასარიძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო
ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციების, საქართველოსა და აფხაზეთის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 7 ივლისის N17 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით.

სამინისტროს დაფინანსების წყაროა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი; მას, როგორც მხარჯავ დაწესებულებას, ბიუჯეტის კანონით მიენიჭებული აქვს ორგანიზაციული კოდი (1008).

სამინისტროს საქმიანობის ძირითადი სფეროა: ეკონომიკური პოლიტიკა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვა და განკარგვა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საფუძველზე შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მართვა და კონტროლი; სტატისტიკური აღრიცხვა.

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებია: მინისტრის აპარატი; იურიდიულ და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი; საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტი; სტატისტიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი; სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტი; შიდა აუდიტის სამსახური.


სამინისტროს სისტემაში შემავალი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებაა – ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი, ხოლო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტო.

სამინისტრო ასევე კონტროლს ახორციელებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საფუძველზე შექმნილ კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონით სამინისტროსათვის განსაზღვრული მომუშავეთა 45 შტატი სრულად იყო დაკომპლექტებული. შტატგარეშე მომუშავეთა ფაქტობრივმა საერთო რიცხოვნებამ კი 16 ერთეული შეადგინა.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო
ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

სამინისტრო ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტა – ქართული ლარი.

3. ქონების აღრიცხვის მდგომარეობა

შენობა-ნაგებობების აღრიცხვა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს სარგებლობაშია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გადმოცემული ქვემოთ ჩამოთვლილი ფართები, კერძოდ:

- ა. თამარაშვილის ქ. 15^ა მდებარე შენობა-ნაგებობის მე-3 სართულზე არსებული 800.51 მ² ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ფართი (საკადასტრო კოდი 01.10.16.003.001.01.511). სარგებლობაში გადმოცემა განხორციელდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 22 მაისის N1-1/806 ბრძანების საფუძველზე;
- ბ. თამარაშვილის ქ. 15^ა მდებარე სარდაფის სართულის 1271 მ² (საკადასტრო კოდი 01.10.16.003.001.01.506) და მე-2 სართულზე არსებული 77.63 მ² ფართი (საკადასტრო კოდი 01.10.16.003.001.01.508). სარგებლობაში გადმოცემა განხორციელდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2010 წლის 18 ივნისის N16/1446/3-10 წერილის საფუძველზე;
- გ. ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15^ა-ში მდებარე შენობის, 1-ლი სართულზე არსებული 569.98 მ² ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 01.10.16.003.001.01.507). სარგებლობაში გადმოცემა განხორციელდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2010 წლის 29 ივნისის N16/1785/3-10 წერილის საფუძველზე;
- დ. ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ. N42-42^ა-ში მდებარე N2 შენობის სხვენის 44.74 მ² ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 01.14.03.040.155.02.500). სარგებლობაში გადმოცემა განხორციელდა საქართველოს


აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო

ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2010 წლის 30 ივნისის N16/1521/3-10 წერილის საფუძველზე;

- ე. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42-42^ა-ში მდებარე N1 შენობის, მე-5 სართულის 436.95 მ² მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 01.14.03.040.155.02.502). სარგებლობაში გადმოცემა განხორციელდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2010 წლის 23 ივნისის N16/1337/3-10 წერილის საფუძველზე;
- ვ. ქ. თბილისი, მეველის ქ. 17 -ში მდებარე შენობა-ნაგებობები N1, N2, N3 და მათზე დამაგრებული 2,369 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 01.17.12.016.015). სარგებლობაში გადმოცემა განხორციელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 16 ივნისის N05/12556 წერილის საფუძველზე;
- ზ. ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N16-ში შენობის მე-6 სართულზე არსებული 503.69 მ² ფართი და მასზე დამაგრებული წილობრივი მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 01.10.14.009.010.01.524). სარგებლობაში გადმოცემა განხორციელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 27 მაისის N05/10706 წერილის საფუძველზე;
- თ. ქ. თბილისი, დაბა-წყნეთში მდებარე შენობა-ნაგებობა N1 და მასზე დამაგრებული 559 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 01.20.01.104.068). სარგებლობაში გადმოცემა განხორციელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 1 ივნისის N05/11092 წერილის საფუძველზე;
- ი. ქ. ქუთაისი გუგუნიას ქ. N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობებით ფართით 11,027.10 მ² (განაშენიანების ფართი) და მასზე დამაგრებული 17,084.00 მ² მიწის ნაკვეთით (საკადასტრო კოდი 03.05.24.398). სარგებლობაში გადმოცემა განხორციელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2011 წლის 11 ნოემბრის Nტ-2/724 წერილის საფუძველზე.



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო

ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

უსასყიდლოდ მიღებული და სამინისტროს სარგებლობაში არსებული უძრავი ქონებიდან (საოფისე და ადმინისტრაციული შენობები/ფართები, მიწის ნაკვეთები) არც ერთი არ არის სამინისტროს საბუღალტრო რეგისტრებსა და ბალანსზე აღრიცხული თანხობრივად.

საბალანსო მუხლში (შენობა-ნაგებობები) ასახულია მხოლოდ ერთ-ერთი ამ ფართობის (სამინისტროს ადმინისტრაციის განთავსების ფართის) სარემონტო სამუშაოების ღირებულებები. ამათგან ერთ შემთხვევაში 671 ლარის (25.05.12 წელს) შენობა-ნაგებობების სამუშაო მდგომარეობაში შენახვისა და მიმდინარე შეკეთების ხარჯები გაწეულია წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული „არაფინანსური აქტივები“-ს მუხლიდან და ეს ხარჯები მიკუთვნებულია და აღრიცხულია სამინისტროს ბალანსის მუხლში - „შენობები და ნაგებობები“;

დანაკლისების, ავტომანქანებისა და სხვა ქონების აღრიცხვა

სამინისტროს ბალანსის საცნობარო მუხლში - პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები (02), აღრიცხულია 1,642,795.92 ლარის აქტივების დანაკლისები, საიდანაც:

- 1,606,115.92 ლარის დანაკლისები წარმოადგენს, სამინისტროზე შემდგომი განკარგვის მიზნით 2009 წელს გადმოცემულ, სსიპ „სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს“ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, მის ბალანსზე რიცხულ, საომარი მოქმედებების შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიაზე (ზემო აფხაზეთში) დარჩენილ ქონებას;
- 36,680.00 ლარის დანაკლისი წარმოადგენს ავტომანქანებს, კერძოდ, „ბმვ-525“, „ვაზ-21073“, „ფოლცვაგენ პასატი“, „კამაზ-4310“ და „გაზ-6614“, რომელთაგან „კამაზ-4310“ და „გაზ-6614“ დაკარგულია საომარი მოქმედებების დროს ზემო აფხაზეთში, ხოლო „ბმვ-525-ს“, „ვაზ-21073-ს“ და „ფოლცვაგენ პასატის“ გატაცების ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე; აქედან „ბმვ-525“ და „ვაზ-21073“ წარმოადგენენ 2007 წელს სსიპ „მედია ცენტრის“, ხოლო „ფოლცვაგენ პასატი“ 2006 წელს სენაკში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლობის ლიკვიდაციის შედეგად გამონთავისუფლებულ ქონებას, რომლებიც სამინისტროზე გადმოცემისას ძებნაში იმყოფებოდა.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსში (ფორმა N1 და ფორმა N6) ერთობლივად არის აღრიცხული, როგორც სამინისტროს აპარატის კუთვნილი - ექსპლუატაციაში მყოფი 3 ერთეული ავტომანქანა ნარჩენი ღირებულებით 31,372.11 ლარი, ასევე მხარჯავი დაწესებულებებიდან გადმოცემული - საპრივატიზაციო რეჟიმში მყოფი 7 ერთეული სატრანსპორტო საშუალება ნარჩენი ღირებულებით 42,515.55 ლარი.



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო
ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

ამორტიზებული ძირითადი აქტივების აღრიცხვა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს გააჩნია ამორტიზირებული ძირითადი აქტივები, რომლებიც ამჟამად ექსპლუატაციაშია და ასახული არ არის ბალანსის საცნობარო მუხლში.

4. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით გახარჯულია 39,365 ლარი, რაც საერთო საკასო ხარჯების მიმართ 6.72 %-ს შეადგენს; მინისტრის ბმანებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე 2012 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 16 მომუშავე. აქედან 4 პირზე თითქმის მთელი წლის (11 და მეტი თვე) პერიოდში დაკისრებული იყო მინისტრის ცალკეული დავალებებისა და განკარგულებების შესრულება, ასევე შტატით გათვალისწინებული თანამშრომლებისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხელშეწყობა. მათზე თვეში ანაზღაურებულია 380-450 ლარი, სულ 20,670.0 ლარი; ხოლო 5 პირი შედარებით ნაკლები ვადებით იყვნენ დანიშნული შტატგარეშე მოსამსახურეებად და დაკისრებული ჰქონდათ სამინისტროს დებულებით განსაზღვრული ისეთი სამუშაოები, როგორიცაა სამინისტროს მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირისათვის დაკისრებული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობა (2 პირი, 3-3 თვე, 400-400 ლარი), საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხები (2 პირი, 3-3 თვე, 400-730 ლარი), შტატით გათვალისწინებული თანამშრომლებისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხელშეწყობა (ერთი პირი, 6 თვე, 450 ლარი) და სხვა.

5. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხები

გამარტივებული ელექტრონული ტენდერები ჩატარებულია სამინისტროს ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ. სააგენტოსათვის ანგარიშის წარდგენის მიზნით სამინისტროს სისტემაში ატვირთული აქვს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმები და გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტები.

სატენდერო დოკუმენტაციები (შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტების საკავალიფიკაციო მოთხოვნების აღწერის მიზნით სატენდერო განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაცია) დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერით განხორციელებულია შემდეგი სახელმწიფო შესყიდვები:



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო
 ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები
 საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

№	შესასყიდისაქონლის, მომსახურების, სამუშაოსდასახელება	ტენდერშიმონაწ. რაოდენობა	მომწოდებლის დასახელება	საქონლის,მომსახურე- ბის, მიწოდების თანხა
1	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება	1	ფიზიკური პირი ვახტანგ უშვერიძე	15,000
2	შენობის მოწყობის სამუშაოები	4	შპს „ლენი XXI“	17,595
ჯამი				32,595

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“
 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით სამინისტროს ავტოსატრანსპორტო
 საშუალების შესაძენად გამოეყო 15,000 ლარი.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერით 15,000 ლარად შეძენილია ავტომანქანა
 „მერსედეს-ბენცი C-200“, (ძრავის მოცულობა 2.0, გამოშვებული 2000 წელს). ავტომანქანის
 შესყიდვა განხორციელებულია ფიზიკური პირი ვახტანგ უშვერიძესთან 20.01.2012 წელს
 გაფორმებული ხელშეკრულებისა(N12) და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის
 საფუძველზე.

აუდიტორი:
 გიორგი ფრუიძე

ასისტენტ-აუდიტორი:
 ნაია ხოფერია

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
 სახელმწიფო აუდიტის სამსახური
 16 აპრილი 2013 წელი
 ქ. თბილისი

